



**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა
მ ი ნ ი ს ტ რ ი**



KA100125157039616

თბილისი

02 / სექტემბერი / 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01/1071

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს
საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2016 წლის 2 სექტემბრის სხდომაზე
მიღებული გადაწყვეტილებების დამტკიცების შესახებ**

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N412 დადგენილებისა და „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 ოქტომბრის N01/779 ბრძანების თანახმად და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ნ. ფერაძის 2016 წლის 2 სექტემბრის N11709 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2016 წლის 2 სექტემბრის სხდომაზე (ოქმი N7, შემდგომში - ოქმი) მიღებული შემდეგი გადაწყვეტილებები:

ა) გამოცხადდეს კონკურსი სამინისტროს ცენტრალური აპარატის ვაკანტურ თანამდებობებზე (ოქმის N1 დანართის შესაბამისად);

ბ) კონკურსი ჩატარდეს ორ ეტაპად (პირველი ეტაპი - განცხადებების გადარჩევა, მე-2 ეტაპი -გასაუბრება);

გ) საკონკურსო განაცხადების მიღების ვადად განისაზღვროს 2016 წლის 5-14 სექტემბერი;

დ) საკონკურსო განაცხადებების თანამდებობებისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შემდგომ, კონკურსანტთა გასაუბრების გრაფიკი განისაზღვროს არაუადრეს 2016 წლის 19 სექტემბრისა;

ე) კონკურსში მონაწილეთა შეფასების ფორმა განისაზღვროს ოქმის დანართი N2-ის შესაბამისად.

2. „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიისა და აღნიშნული კომისიის სამდივნოს შექმნის შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 7 ნოემბრის N01/801 ბრძანებით (მასში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მინისტრის 2015 წლის 4 ნოემბრის N01/1059 ბრძანებით შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით) განსაზღვრულმა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნომ უზრუნველყოს:

ა) კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის მეშვეობით;


ბ) კანდიდატების მიერ სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით გაკეთებული განცხადებების გადარჩევა (პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და სავალდებულო დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემოწმება) და კომისიისთვის წარდგენა.

3. სამინისტროს აპარატმა (საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოსთან ერთად) უზრუნველყოს სამინისტროს ვებ-გვერდზე კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით შესაბამისი ინფორმაციის განთავსება.

4. სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების თანამშრომლებისათვის გაცნობა.

5. ბრძანება ძალაშია 2016 წლის 5 სექტემბრიდან.

მინისტრი

A handwritten signature in blue ink, consisting of several stylized, overlapping loops and a horizontal line that extends to the right.

ტარიელ ხეჩიკაშვილი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს
საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომის

ოქმი № 7

ქ. თბილისი

02.09.2016 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე - აკაკი ლოდია.

ესწრებოდნენ: - კომისიის წევრები - რევაზ ჯაველიძე, შალვა გოგოლაძე, ზადრი მაჭავარიანი,
მაია ჩხარტიშვილი.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ

კომისიის სამდივნოს წევრები: ნანა ფერაძე - სამდივნოს უფროსი;

დიანა ჩიხრაძე, ეკა კუპრეიშვილი - სამდივნოს წევრები.

დღის წესრიგი

1. საკონკურსო თანამდებობათა განსაზღვრა;
2. კონკურსის ფორმის განსაზღვრა;
3. კონკურსის ჩატარების ვადების განსაზღვრა;
4. კონკურსის მონაწილეთა შეფასების ფორმის განსაზღვრა.

1. ნანა ფერაძემ - კომისიას წარუდგინა ინფორმაცია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის სამტატო ნუსხით განსაზღვრული ზოგიერთი საკონკურსო ვაკანტური თანამდებობის შესახებ.

აზრი გამოთქვას: ა. ლოდიაშვილი, რ. ჯაველიძემ, შ. გოგოლაძემ, ბ. მაჭავარიანმა, მ. ჩხარტიშვილმა

გადაწყვეიტეს: კონკურსი გამოცხადდეს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის სამტატო ნუსხით განსაზღვრულ ზოგიერთ საკონკურსო ვაკანტურ თანამდებობაზე დანართი N1-ის შესაბამისად.

2. აკაკი ლოდია - კომისიის წინაშე წარსდგა წინადადებით, სამინისტროს ცენტრალური აპარატის სამტატო ნუსხით განსაზღვრულ ზოგიერთ საკონკურსო ვაკანტურ თანამდებობაზე (დანართი N1-ის შესაბამისად) კონკურსი ჩატარდეს ორ ეტაპად:

1. კონკურსში მონაწილეთა აპლიკაციების განხილვა-გადარჩევა;
2. გასაუბრება.

აზრი გამოთქვას: ა. ლოდიაშვილი, რ. ჯაველიძემ, შ. გოგოლაძემ, ბ. მაჭავარიანმა, მ. ჩხარტიშვილმა.

გადაწყვეიტეს: სამინისტროს ცენტრალური აპარატის სამტატო ნუსხით განსაზღვრულ ზოგიერთ საკონკურსო ვაკანტურ თანამდებობაზე (დანართი N1-ის შესაბამისად) კონკურსი ჩატარდეს ორ ეტაპად:

1. კონკურსში მონაწილეთა აპლიკაციების განხილვა-გადარჩევა;
2. გასაუბრება.

3. აკაკი ლოდია - კომისიის წინაშე წარსდგა წინადადებით, სამინისტროს ცენტრალური აპარატის სამტატო ნუსხით განსაზღვრულ ზოგიერთ საკონკურსო ვაკანტურ თანამდებობაზე (დანართი N1-ის შესაბამისად) საკონკურსო განაცხადების მიღების ვადად განისაზღვროს 2016 წლის 5-14 სექტემბერი.

აზრი გამოთქვას: ა. ლოდიაშვილი, რ. ჯაველიძემ, შ. გოგოლაძემ, ბ. მაჭავარიანმა, მ. ჩხარტიშვილმა.

გადაწყვეიტეს:

ა) სამინისტროს ცენტრალური აპარატის სამტატო ნუსხით განსაზღვრულ ზოგიერთ საკონკურსო ვაკანტურ თანამდებობაზე (დანართი N1-ის შესაბამისად) საკონკურსო განაცხადების მიღების ვადად განისაზღვროს 2016 წლის 5-14 სექტემბერი.

ბ) კონკურსანტთა გასაუბრების გრაფიკი განისაზღვროს არაუადრეს 2016 წლის 19 სექტემბრისა.

4. ნანა ფერაძე - კომისიის წინაშე წარსდგა წინადადებით, სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო ნუსხით განსაზღვრულ ზოგიერთ ვაკანტურ საკონკურსო თანამდებობაზე (დანართი N1-ის თანახმად) კონკურსის მონაწილეთა შეფასების ფორმა განისაზღვროს დანართი N2-ის შესაბამისად.

აზრი გამოთქვას: ა. ლოდიაშვილი, შ. გოგოლაძე, რ. ჯაველიძე, ბ. მაჭავარიანი, მ. ჩხარტიშვილი.

გადაწყვეტის: სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო ნუსხით განსაზღვრულ ზოგიერთ საკონკურსო თანამდებობაზე (დანართი N1-ის თანახმად), კონკურსის მონაწილეთა შეფასების ფორმა განისაზღვროს დანართი N2-ის შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარე




აკაკი ლოდია

კომისიის წევრები:



რევაზ ჯაველიძე



მალვა გოგოლაძე



ბადრი მაჭავარიანი



მაია ჩხარტიშვილი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ვაკანტური თანამდებობები

1	სპორტის კვლევისა და ანალიზის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი	ერთი საშტატო ერთეული
2	სპორტის კვლევისა და ანალიზის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი	ერთი საშტატო ერთეული
3	საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი	ერთი საშტატო ერთეული
4	სამინისტროს აპარატის მთავარი სპეციალისტი	ერთი საშტატო ერთეული
5	სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი	ერთი საშტატო ერთეული
	სულ:	5 (ხუთი) საშტატო ერთეული

შეფასების ფორმა

N	კითხვა	კითხვის მიზანი	შეფასება 0-დან 5-ქულამდე
1	სამინისტროს როლი და ფუნქცია	ინფორმირებულობა სამინისტროს საქმიანობის შესახებ	
2	არსებული ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად შესაბამისი კვალიფიკაცია	1. თეორიული ცოდნის დონე;	
		2. პრაქტიკული გამოცდილება;	
3	რით არის თქვენთვის საინტერესო ეს საქმიანობა	მოტივაცია	
4	თქვენი უპირატესობა სხვა კონკურსანტებთან მიმართებაში	პრეზენტაბელურობა	

ზოგადი შეფასება -/+	
საუბრობს გასაგებად, აზრს აყალიბებს ლოგიკურად და არგუმენტირებულად	
პასუხობს მშვიდად და დამაჯერებლად	